სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № ტკტსგშ/16-051

CPV –24951311

ქ. თბილისი 23 დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ შპს "ტრანს კავკასუს ტერმინალსი" შემდგომში - "შემსყიდველი", წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან სულაბერიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „თეგეტა მოტორსი" (შემდგომში - "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები", სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის "ა" პუნქტის და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ~ (შემდგომში – `ხელშეკრულება~) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. ხელშეკრულების ღირებულება~ –საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. `დღე~, `კვირა~, `თვე~ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. `შემსყიდველი" _ ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. `მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. `საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „შესყიდვის ობიექტი"-გამარტივებული შესყიდვის საშუალებით საქონლის/მომსახურების შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტი:

ცხრილი №1

№	დასახელება	რაოდენობა (ბალონი)	ერთ. ღირებულება (ლარი) დღგ-ს ჩათვლით	საერთო ღირებულება(ლარი) დღგ-ს ჩათვლით
1	ანტიფრიზი DRIVER NF (BLUE) 20 L	4	130	520
	ჯამი			520

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 520 (ხუთასოცი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების წესი

4.1. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

4.2. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო, კონსიგნაციით, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ოდენობის მიხედვით.

4.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის მიწოდება სერვის ცენტრებში ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში .

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ქ. თბილისში და ქ. ფოთში მდებარე შპს „თეგეტა მოტორსის" სერვის ცენტრებში (მიმწოდებლის სერვის ცენტრებიდან ასაღებ შესყიდვის ობიექტის რაოდენობებს განსაზღვრავს შემსყიდველი ცხრილი №1-ით განსაზღვრული საერთო რაოდენობის დაცვით)

5.3. საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით. მიმწოდებლის მხრიდან მიღება-ჩაბარებაზე ხელს მოაწერენ სერვის ცენტრების პასუხისმგებელი პირები, ხოლო შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს მოაწერენ:

5.3.1. ქ.თბილისში დავით ჯაკონია,

5.3.2. ქ.ფოთში ავთო ტურძელაძე

5.4. მიღება-ჩაბარების აქტი დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი

წარმომადგენლის ხელმოწერით. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, აღნიშნული დასაბუთებული უნდა იქნეს მხარეთა მიერ.

5.5. **ხელშეკრულების ადმინისტრატორად** შემსყიდველის მხრიდან განისაზღვროს გელა კელაპტრიშვილი ტელ: 591 70 79 10

6. ხარისხი და გარანტია

6.1. საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებსა და მაჩვენებლებს.

6.2. შემსყიდველის მიერ ინსპეკტირების შედეგად რაიმე სახის წუნის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია წუნდებული საქონელი ერთი დღის განმავლობაში, საკუთარი ხარჯებით შეცვალოს ახლით.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველმა პროდუქციის მიწოდებისთანავე უნდა ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი, რომელსაც განახორციელებს შემსყიდველის უფლებამისილი პირი, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას კონტროლის განხორციელების დროს.

8. მხარეთა უფლება–მოვალეობები

8.1. ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია:

8.1.1 კონტროლის შედეგად „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მიმწოდებელს მითითება ხარვეზის გამოსწორების შესახებ;

8.1.2 მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება უხარისხო ან/და ვადის გადაცილებით მიწოდებული საქონელისათვის.

8.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია:

8.2.1 უზრუნველყოს ,,მიმწოდებლის" მიერ მიწოდებული საქონელის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

8.3 ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

8.3.1 მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" მიწოდებული საქონელის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:

8.4.1 დადგენილ ვადაში მიაწოდოს ხარისხიანი (ახალი) 2,1 მუხლით განსაზღვრული, საქონელი და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

9.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების 5.1 პუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებული საქონლის ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.3. პირგასამტეხლოს დარიცხვა შეწყდება მას შემდეგ, რაც დარიცხული თანხა მიაღწევს ხელშეკრულების საერთო ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 5%-ს.

10.4. მიმწოდებლის მიერ ხელეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 5%-ის ოდენობით.

10.5. ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებული პირგასამტეხლოს მაქსიმალური ზღვრული ოდენობა, რომელიც შეიძლება დაეკისროს მიმწოდებელს, შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) არაუმეტეს 5%-სა.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.2. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე

მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

12.4. მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე დამრღვევ მხარეს აძლევს 5 სამუშაო დღიან დამატებით ვადას. იმ შემთხვევაში თუ დამატებით ვადაშიც ვერ მოხდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება, ხოლო დამრღვევი მხარე ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

13. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

13.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15. დავების გადაწყვეტა

15.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

15.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 10 თებერვლამდე.

16.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამ) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ორი ინახება „შემსყიდველთან", ხოლო, ერთი „მიმწოდებელთან".

. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
შპს "ტრანს კავკასუს ტერმინალსი"	შპს „თეგეტა მოტორსი"
ს/კ 202462101	ს/კ 202177205
მის:ქ.თბილისი, თამარ მეფის გამზ.№15	მის:ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ №5
ბანკი: სს „ვი თი ბი ბანკი ჯორჯია"	ბანკი: სს "თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: UGEBGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE21VT6500000007773607	ა/ა GE80TB0600000024467853
ლევან სულაბერიძე	თემურ ჯოხოძე

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

23/12/16

მე, შპს „ტრანს კავკასუს ტერმინალსის“ დირექტორი ლევან სულაბერიძე ვადასტურებ, რომ 2016 წლის 23 დეკემბერს გაფორმებული №ტკტსგშ/2016-051 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სახელმწიფო შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-8 მუხლისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

შპს „ტრანს კავკასუს ტერმინალსის“ დირექტორი: /ლევან სულაბერიძე/